

UDC 725.75

SCOPUS CODE 2216

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-1-183-196>

სამკურნალო-დასასვენებელი კურორტ წყალტუბოს ტოტალიტარული პერიოდის სანატორიუმებისა და სააბაზანოების მხატვრულ-დეკორატიული მოტივები ეროვნულ ტრადიციებთან კონტექსტში

მაია დავითაია არქიტექტურის საფუძვლების თეორიისა და სახვითი ხელოვნების
დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160,
თბილისი, მ. კოსტავას 68^ა

E-mail: m.davitaia@gtu.ge

ნინო ბარნაბიშვილი არქიტექტურის საფუძვლების თეორიისა და სახვითი ხელოვნების
დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160,
თბილისი, მ. კოსტავას 68^ა

E-mail: nini.barnaba@gmail.com

რეცენზენტები:

ნ. იმნაძე, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი,
აკადემიური დოქტორი

E-mail: n.imnadze@gtu.ge

მ. ძიძიგური, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი,
აკადემიური დოქტორი

E-mail: m.dzidziguri@gtu.ge

ანოტაცია. ეროვნულობის საკითხის კვლევა და
ეროვნული ტრადიციების კავშირის დადგენა ტოტა-
ლიტარულ არქიტექტურასთან მეტად მნიშვნელო-
ვანია. სტატიაში საუბარია ტოტალიტარული პერი-
ოდის არქიტექტურის სამკურნალო-დასასვენებელი
კურორტ წყალტუბოს სანატორიუმებისა და სააბაზა-
ნოების გაფორმებაში მხატვრულ-დეკორატიული

თავისებურებების კავშირის გამოვლენაზე. განხი-
ლულია ეროვნულ ტრადიციებთან კლასიკური და
ნაციონალური დეკორის ერთიანობის საკითხი და
მათი დაქვემდებარების, მიდგომების გათვალისწი-
ნებით შედარებითი ანალიზი. კვლევისას მოვიძიეთ
ლიტერატურა და ალბომები, კერძო არქივებში და-
ცული ფოტომასალა და ყველა ის დოკუმენტი, რო-
მელთა განხილვამ საშუალება მოგვცა გვესაუბრა

სამკურნალო-დასასვენებელ კურორტ წყალტუბოში ტოტალიტარულ პერიოდში აგებულ შენობათა მხატვრულ-დეკორატიულ თავისებურებებზე ეროვნულ ტრადიციასთან კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: არქიტექტურა; დეკორი; ეროვნული მოტივი; კონტექსტი; სანატორიუმი.

შესავალი

1925 წლის 18 მაისს ი. სტალინმა აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეკრებაზე წარმოთქვა: „შინაარსით პროლეტარული, ფორმით ნაციონალური, სწორედ ასეთია ხალხთა საერთო კულტურა, რომლისკენაც სოციალიზმი იღწვის. პროლეტარული კულტურა არ ცვლის ნაციონალურ კულტურას, არამედ აძლევს მას შინაარსს და, პირიქით, ნაციონალური კულტურა არ ცვლის პროლეტარულ კულტურას, არამედ აძლევს მას ფორმას. ნაციონალური კულტურის ლოზუნგი იყო ბურჟუაზიული ლოზუნგი მანამ, სანამ ხელისუფლებაში იყო ბურჟუაზია, ხოლო ერების კონსოლიდაცია ბურჟუაზიული წესების ეგიდით ხდებოდა. ნაციონალური კულტურის ლოზუნგი გახდა პროლეტარული ლოზუნგი, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა პროლეტარიატი, ხოლო ერების კონსოლიდაცია საბჭოთა ხელისუფლების ეგიდით დაიწყო. ვინც ვერ გაიგო პრინციპული

სხვაობა, რაც ამ ორ გარემოებას შორისაა, ის ვერასოდეს გაიგებს ლენინიზმს, ვერც ეროვნულობის საკითხის არსს“.¹

სტალინის მიმართვას ერთგვარად გამოეხმაურა რუსი არქიტექტორი ა. შჩუსევი სტატიაში „ნაციონალური ფორმა არქიტექტურაში“: „ჩვენთვის, საბჭოთა ხუროთმოძღვრათათვის უმთავრესი და სრულიად გადაუდებელი ამოცანაა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური არქიტექტურის შექმნა. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მრავალეროვანი გაერთიანება საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ ფორმებს ქმნის და, შესაბამისად, ახალი ფორმები იქმნება ხელოვნებაში. ერთი განუყოფელია მეორისგან, ამიტომ ჩვენთვის რუსულ არქიტექტურაში ეროვნული ფორმის ძიება, როგორც სსრკ-ის სხვა ერებში, ვერ შეეთვისება არქაული დეტალებით ტკბობას თუ ძველი ხუროთმოძღვრებიდან ცალკეული არქიტექტურული ფრაგმენტების კოპირებას. ნოვატორობა და კოპირება ერთმანეთთან საერთოდ შეუთავსებელია კულტურაში, ხოლო არქიტექტურაში მჭიდრო კავშირშია სამშენებლო ხელოვნებასა და ტექნიკასთან“.² ა. შჩუსევი ასევე აღნიშნავს: „ეროვნული ფორმის საკითხი თითოეულ ერთან თავისებურად წყდება, თუმცა არქიტექტურაში სტილის პრობლემის გადაწყვეტის პრინციპები იდენტურია. საჭიროა შევისწავლოთ ის, რაც მხატვრულად ფასეულია გასული ეპოქების არქიტექტურაში. დაგვემარებისა და დაპროექტებისას კი გავითვალისწინოთ ყოფითი

¹ Сталин И. О политических задачах университета народов Востока. Речь на собрании студентов КУТВ. 18 мая 1925 г. // Сталин И.В. Сочинения. М.: Государственное издательство политической литературы, 1952. Т. 7. С. 138.

² ШУСЕВ А. НАЦИОНАЛЬНАЯ ФОРМА В АРХИТЕКТУРЕ. Журнал «Архитектура СССР». №12. Орган Государственного комитета по гражданскому строительству и архитектуре при Госстрое СССР и Союза Архитекторов СССР. Издательство литературы по строительству. Москва. 1940. стр. 53-57

ეკონომიკური და კულტურული მოთხოვნები იმ ერისა, რომლისთვისაც ვქმნით...“.

1930–1950-იან წლების საბჭოთა არქიტექტურაში ანტიკური პომპეზურობისა და ანტიკური სამყაროს მიმბაძველობით შექმნილი დეკორი გამოიყენებოდა. ანტიკური სამყაროს არქიტექტურიდან აღებული მოტივები, ფორმები ჰარმონიულად ერწყმოდა შენობის ფასადზე თუ ინტერიერში გამოყენებულ მცენარეულ მოტივებსა და დეკორატიულ ელემენტებს, ვხვდებით ძალაუფლების სიმბოლოებს, ზეთისხილის რტოებსა და აკანთის ფოთლებს, ყურძნის მტევნის გამოსახულებებს (რუსეთის სამხრეთ ნაწილში აგებულ სანატორიუმებში), გამარჯვების, შრომისა და წინსვლის ამსახველ სიუჟეტებს, ორდერულ სისტემას, არქიტექტურულ-დეკორატიულ პანოებს, რომლებიც ჰარმონიულად ეწერებოდა გარემოში და ლანდშაფტური პეიზაჟის ნაწილი ხდებოდა.

ძირითადი ნაწილი

ეროვნულ მოტივებთან კავშირი

საბჭოთა კავშირში ეროვნულ ტრადიციასთან კავშირის თემამ სხვადასხვა ადგილას სხვადასხვაგვარი გამოვლინება პოვა, ვინაიდან ლოზუნგი “ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური“ განსხვავებულად იქნა აღქმული რესპუბლიკებში. სწორედ ამიტომ, გარკვეულ რესპუბლიკებში ეროვნულ ტრადიციასთან კავშირის ფორმა, საშუალებლო, მოსაპირკეთებელი მასალის კუთხით, ტრადიციულ არქიტექტურულ ფორმებში ან დეკორში გამოვლინდა.

1920-იან წლებში სტალინის მიმართვამ განსაზღვრა არქიტექტურული ძეგლების დეკორატიუ-

ლი მოტივებით დამშვენების, მათი რელიეფით შემკობის საკითხი, რაც აქტიურად მუშავდებოდა. ტოტალიტარული პერიოდის საქართველოში ეს თავისებური ინტერპრეტაციით გამოჩნდა. არქიტექტურული ძეგლების მხატვრული გაფორმებისას აქტიურად გამოიყენებოდა ქართული ეთნოგრაფიული ყოფისთვის სახასიათო და ძველი სატაძრო არქიტექტურისთვის დამახასიათებელი დეკორატიული ელემენტები. სწორედ ამაში ხედავდნენ ეროვნული არქიტექტურული სტილის შექმნას. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ 1949–1953 წლებში, არქიტექტორების – მ. ჩხიკვაძისა და კ. ჩხეიძის პროექტით აგებული საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შენობა (ეროვნულ ტრადიციასთან კავშირი აქ ძირითადად დეკორში ვლინდება); 1934–1938 წლებში, არქიტექტორ ა. შაუსევის პროექტით აგებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის (იმელის) შენობა თბილისში (ინტერიერისა და ექსტერიერის გაფორმებისას გამოყენებული იყო ქართული არქიტექტურული ელემენტები). მოცემულ სტატიაში ა. შაუსევი საქართველოზეც საუბრობს და მაგალითად მოჰყავს მარქსის, ენგელსისა და ლენინის ინსტიტუტი: „თბილისში მარქსის, ენგელსისა და ლენინის ინსტიტუტის დაპროექტებისას ვხელმძღვანელობდი ძველი ქართული არქიტექტურის მოტივებით, საბერძნეთის, რომისა და ბიზანტიის გავლენის გათვალისწინებით. ვეცადე, არქიტექტურული და სკულპტურული ფორმების კომბინაციით, გამომეხატა ქართველთა ბრძოლა ერის გათავისუფლებისთვის. შენობის აგებისას გამოიყენეს ადგილობრივი მასალა – ბოლნური ტუფი, ტემენიტი, გრანიტი, ფერადი მარმარილოს რამდენიმე სახე, სომხური კონგლომერატი და სხვა;

მეტალის ნაწილების დეტალების დასამზადებლად კი ადგილობრივი ოსტატების – იუველიერების, მჭედლების ნამუშევრები (საპარადო კარის სახელურები)“. შჩუსევი საქართველოს კიდევ ერთგან ახსენებს, არქიტექტორების მიერ მშენებლობისას დაშვებული, გარკვეული სახის შეცდომებზე საუბრისას. ის იხსენებს თბილისში, მამადავითის მთაზე აგებულ ფუნიკულიორის კაფეს და ამბობს: „ასეთ ლამაზ და არქიტექტურულად მომხიბვლელ ადგილას, ქალაქურ ანსამბლში, უნდა გამოყენებულიყო საქართველოს, როგორც კლასიკური აღმოსავლეთის მონუმენტური ტრადიციების საუკუნოვანი მემკვიდრის, არქიტექტურისთვის სახასიათო ფორმები. არქიტექტორმა კი დავალება ზედაპირულად გაიგო, ააგო ტიპური ქალაქგარე კაფე ისე, რომ არც შემოქმედებითად მიდგომია პროცესს და არც ქართული ეროვნული კულტურის სახასიათო ელემენტები გამოუყენებია. საქმეს ვერ შევლის ის ფაქტი, რომ არქიტექტორებმა დეტალები შუა საუკუნეების საკულტო დანიშნულების შენობებიდან გამოიყენეს, კერძოდ IV საუკუნიდან XIX საუკუნემდე“. ამ საკითხზე მსჯელობისას ვვარაუდობთ, რომ ზ. ქურდიანის, ნ. ქურდიანის, ა. ვალაბუევის ნაშრომში საუბარია არა ცალკეული ეროვნული მოტივების გამოყენებაზე, არამედ „ქართული სულის“ და განწყობის არქიტექტურული ადეკვატურობის ნიმუშზე, რომელშიც ის ძნელად გამოსახატავი თავისებურება გამოვლინდა, რომელიც იქ მისულ ადამიანს დაეხმარებოდა ქართული ატმოსფერო შეეცნო – ღია, გახსნილი, თეატრალური, მიმპატიჟებელი, სტუმართმოყვარე, თავმომწონე, გარკვეული ასპექტით მაქსიმალისტური. ყოველივე ეს ქართული ყოფის ამსახველ უხილავ ტრადიციებზე მიანიშნებს.


ბერლინში, გ. ჩუბინაშვილის თაოსნობით, შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის ფოტოგამოგენა მოეწყო, რამაც დიდიწილად ხელი შეუწყო მის პოპულარიზაციას.

ამ თემაზე საუბრისას გვახსენდება ე. წ. „ეროვნული კულტურის კვირეულები“, რომლებსაც საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკები სტუმრობდნენ.

ასევე, 1930–1940-იან წლებში იმართებოდა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა იუბილეები. მნიშვნელოვანი იყო რუსთაველის, ნიჟამისა და დავით სასუნცის პატივსაცემად გამართული საზეიმო ღონისძიებები და 1960–1970-იან წლებში მათ სახელზე აღმართული ძეგლები.

1930-იანი წლების ამიერკავკასიელი იუბილარების სამეულიდან შოთა რუსთაველი იყო პირველი, რომლის სახე-ხატის ფიქსირება სახვით ხელოვნებაში სცადეს. ამ პერიოდის სსრკ-ში „ვეფხისტყაოსანი“ უცხო თემა არ იყო და აქტიურად მოღვაწე ოსტატთათვის შთაგონების წყარო გახდა.

ეროვნულ ტრადიციასთან კავშირის კუთხით საყურადღებოა სანატორიუმი „წყალტუბო“, რომლის სასადილოს კედლებს „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტები ამშვენებდა (სურ. 1).



სურ. 1. სანატორიუმი "წყალტუბო". ნინო ბარნაბიშვილის ფოტო

„ვეფხისტყაოსნის“ თემა – ლომის თავები, ტარიელის ვეფხესა და ლომთან ორთაბრძოლის კომპოზიციაში სააბაზანო N6-ის წინ არსებულ შადრევანში მეორდება (სურ. 2). კომპოზიციის ავტორის დასადგენად მნიშვნელოვანი კვლევა ჩატარა წყალტუბოს ისტორიის უბადლო მცოდნე ანზორ ბაბუნაშვილმა. კვლევის შედეგად ავტორი ამბობს: „ჩემთან შემონახული კურორტის ძველი საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ 1950 წელს საკავშირო ჯანმრთელობის სამინისტროს საპროექტო ინსტიტუტმა „ГОСЗДРАВПРОЕКТ“ კურორტის მაშინდელ დირექტორ ვარდენ ჩიქოვანს სპეციალური წარწერით გადასცა ფოტოალბომი „საკურორტო სასტუმროებისა და სააბაზანო შენობების პროექტები წყალტუბოში“. არსებულ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ზემოხსენებულ პროექტებზე მუშაობდნენ: „ГОСЗДРАВПРОЕКТ“-ის დირექტორი, არქიტექტორი ა. სკრიდკო, არქიტექტორები: ვ. ოლტარჟევსკი, ბ. სობოლევსკი, ს. კანევსკი, ნ. იაკობსონი, ვ. ტარასოვი, გ. ხიმშიაშვილი, ლ. ჩერნიაკი, მ. იდელსონი, ნ. პრო-

ხარენკო, ა. კუზნეცოვი. დადგინდა, რომ სასტუმრო „თბილისის“ შემთხვევაში ვ. ოლტარჟევსკისა და ბ. სობოლევსკის ავტორობით შედგენილმა პროექტმა გაიმარჯვა, ხოლო სააბაზანო N6-ის შემთხვევაში – ვ. ტარასოვისა და გ. ხიმშიაშვილის ვარიანტმა.



სურ. 2. ტარიელის ვეფხესა და ლომთან ორთაბრძოლის სკულპტურა. ანზორ ბაბუნაშვილის პირადი არქივი



სურ. 3. სტელა „ვეფხისტყაოსანი“.
ანზორ ბაბუნაშვილის პირადი არქივი

ანზორ ბაბუნაშვილის თქმით, საყურადღებო ერთი ფაქტია: „სააბაზანო N6-ის გამარჯვებული პროექტის ვარიანტში, სააბაზანოს წინ, შადრევანში, რაიმე სკულპტურა გათვალისწინებული არ ყოფილა. ტარიელის ვეფხესა და ლომთან ორთაბრძოლის სკულპტურა ჩანს არქიტექტორ ა. კუზნეცოვის შედგენილ ვარიანტში“. სავარაუდოა, რომ ვ. ტარასოვმა და გ. ხიმშიაშვილმა თავიანთ ვარიანტში გარკვეული კორექტივები შეიტანეს, გაითვალისწინეს არქიტექტორ ა. კუზნეცოვის იდეა და მოსკოველი მოქანდაკე პერდუმჩევის ავტორობით დადგეს ტარიელის ვეფხესა და ლომთან ორთაბრძოლის სკულპტურა. სკულპტურის ავტორის ვინაობა ანზორ ბაბუნაშვილმა 1971 წელს გ. გორგიძის ავტორობით თბილისში გამოცემული წიგნიდან „Курорт Цхалтუნი“ გაარკვია (გვ. 207).

სანატორიუმ „წყალტუბოს“ სასადილოს კედლებზე, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტებისა და სააბაზანო N6-ის წინ შადრევანში მდგარი ტარიელის ვეფხესა და ლომთან ბრძოლის სკულპტურული გამოსახულების გარდა, ამავე თემატიკასთან დაკავშირებული გამოსახულებები გვხვდებოდა ცენტრალურ მოედანზე, კავშირგაბმულობის შენობის გვერდით კედელზეც (სურ. 3). უკიდურეს ქვედა მარცხენა არეში წარმოდგენილი იყო ქაჯეთის ციხის ბარელიეფური კომპოზიცია, მის მარჯვნივ სამი


მებრძოლის გამოსახულება, ვეფხის და ბოლოს შოთა რუსთაველის ბარელიეფი.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ბარელიეფის სკულპტურული კომპოზიცია ასახავს „ვეფხისტყაოსნიდან“ აღებულ ცალკეულ ეპიზოდებს, თუმცა, როგორც ტექსტი, ერთ მთლიანობად წარმოჩნდება და კარგად გამოხატავს „საბჭოთა შინაარსს და ეროვნულ ფორმას“.



სურ. 4. სანატორიუმ „მეგობრობა“.
მაია დავითაიას ფოტო

სანატორიუმ „მეგობრობის“ №1 და №2 შენობების ეზოსკენ მიმართულ აივნებზე კაპიტულებიანი სვეტებია გამოყენებული: პირველ სართულზე – დორიული, მეორეზე – იონიური, მესამეზე – ქართული დედაბომბის ინტერპრეტაცია გვხვდება (სურ. 4). შენობის ეს სართული იდეალურად ერწყმის ქვედა ორს და თავისებურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ქართული ტრადიციის მიმართ. ის პრეტენზიას არ აცხადებს მასშტაბურობაზე და ქვედა ორი სართულის სვეტების რიტმს იმეორებს. ამ შემთხვევაში ფორმით ნაციონალური კონტექსტურია არსებული სივრცის მიმართ და ხაზს უსვამს ეროვნულობის კოდს.



სურ. 5. სანატორიუმ „მეშახტე“ და მისი ინტერიერი. ანზორ ბაბუნაშვილის პირადი არქივი

სანატორიუმ „მეგობრობის“ მსგავსად, დედაბოძის გამოყენება იგეგმებოდა სანატორიუმ „მეშახტის“ ინტერიერშიც (სურ. 5). ჩვენ მიერ მოძიებული მასალის ერთ-ერთ ილუსტრაციაში ასახულია საბილიარდოს ესკიზი, რომელშიც ქართული ეთნოგრაფიული ყოფისთვის დამახასიათებელი ელემენტები სჭარბობს, კერძოდ დარბაზული საცხოვრისის გვირგვინიანი გადახურვა და მის საყრდენად რამდენიმე დედაბოძი. სანატორიუმ „მეშახტეში“ ასე უხვად გამოყენებული თაღები და ამ თაღთა დეკორატიული გაფორმება შუა საუკუნეების ქართული ტაძრების საფასადო მორთულობას გვახსენებს (სურ. 6; სურ. 7; სურ. 11). აქ გამოყენებული ქართული ეროვნული არქიტექტურული მოტივები, ორნამენტები ჰარმონიულად ერწყმის შენობის არქიტექტურულ კომპოზიციას და ეროვნულ კოლორიტს აძლევს.



სურ. 6. მანგლისის სიონი

ეროვნულ ტრადიციასთან კავშირის თვალსაზრისით, ძალზე საინტერესოა სანატორიუმ „მეტალურგი“ შენობის საფასადო გაფორმებაც. აქ წარმოდგენილია მდიდრული შემკულობა, მცენარეული და ცხოველური მოტივებით, ფრიზსა და ლავგარდანზე (კარნიზი), რაც ქართული ტრადიციული ჩუქურთმის ხასიათშია შესრულებული. ამ შემთხვევაში ირმისა და ვაზის გამოსახულებებში ვლინდება რელიგიური ხუროთმოძღვრებიდან „ამოტივტივებული“ ურთიერთკავშირი (სურ. 7). მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიაში ამ ორ სიმბოლიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს („მე ვარ ვაზი ჭეშმარი-

ტი, მამაჩემი კი მევენახეა... მე ვაზი ვარ, თქვენ კი ღერწები“ - იოანე 15:1 – 5), კერძოდ წყაროს დაწაფულ ირემთა გამოსახულებები, ირმები სიცოცხლის ხესთან და ა.შ. რაც რწმენას „დაწაფებული“ ქრისტიანობისკენ მსწრაფლ ადამიანის პერსონიფიკაციას წარმოგვიდგენდა. გვახსენდება ანანურის კომპლექსი, სადაც ყურძნის მტევნებისა და ირმების გამოსახულებები ეკლესიის საფასადო მორთულობაში ჩნდება. ქართული ირმების რელიეფურ გამოსახულებებს ვხვდებით ბოლნისის სიონზეც, თუმცა ირმებისა და ყურძნის მტევნების, ვაზის გამოსახვა უფრო ახლო კავშირს სწორედ ანანურის ეკლესიასთან პოვებს.



სურ. 7. სანატორიუმი „მეტალურგი“. ლავგარდანი ირმისა და ვაზის გამოსახულებით. ანზორ ბაბუნაშვილის პირადი არქივი

ფასადის კიდეში, შვერილთან მოზრდილი ფოთლებით დასრულებული სადა ლილვის სამმაგი რტოს რელიეფური გამოსახულება, ლილვებს შორის არსებულ თაღში ჩართული მცენარეული მოტივით და შენობის დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილების ერთსართულიან მინაშენში არსებული თაღოვანი გალერეების რელიეფური დეკორით შემკული კუთხეები, აშკარად გვახსენებს შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების მხატვრულ-დეკორატიული გაფორმების ნიმუშებს. მინაშენში გამოყენებული სამთავისის ტაძრის კუთხის რელიეფური დეკორი


ჰარმონიულად ერწყმის საერთო არქიტექტურულ კომპოზიციას (სურ. 8, სურ. 9).



სურ. 8. სამთავისის ტაძარი. ნინო ბარნაბიშვილის ფოტო

სურ. 9. სანატორიუმი „მეტალურგი“. ანზორ ბაბუნაშვილის პირადი არქივი

სამთავისისა და სანატორიუმ „მეტალურგის“ საფასადო მორთულობის მსგავსებაზე უკვე ვისაუბრეთ, თუმცა აღსანიშნავია კიდევ ერთი ნიუანსი. „მეტალურგის“ და „წყალტუბოს“ კარიბჭეებზე დაკვირვებისას ვხედავთ მსგავსებას შუა საუკუნეების ქართულ ტაძრებთან (სურ. 10; სურ. 11; სურ. 12; სურ. 13). თაღები და ამ თაღთა დეკორატიული გაფორმება ხშირად გვხვდებოდა შუა საუკუნეების ქართული ტაძრების აღმოსავლეთ ფასადზე. ამ მხრივ ეს ორი სანატორიუმი სამთავისის ტაძარს გვახსენებს.



სურ. 10. სამთავისის ტაძარი



სურ. 11. სანატორიუმი „მეზახტე“



სურ. 12. სანატორიუმი „მეტალურგი“, კარიბჭე



სურ. 13. სანატორიუმი „წყალტუბო“, კარიბჭე

რასაკვირველია, ტაძრებზე სხვადასხვა მხატვრულ-დეკორატიული მოტივის გამოყენებას და საფასადო გაფორმებაში ჩართვას თავისი ახსნა და რელიგიასთან ლოგიკური კავშირი აქვს, თუმცა ძალზე საინტერესოა, რომ ამგვარი გაფორმება ბრმად, თითქმის უცვლელი სახით გადმოდის საერო ხუროთ-

მოდვრებაში და მეოცე საუკუნის საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებზე ადგილს იმკვიდრებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ ტრადიციასთან კავშირს ვხვდებით სანატორიუმ „მეტალურგის“ ორივე მხარეს სიმეტრიულად განლაგებული პანსიონატის ორი კოტეჯის შენობაშიც. ამ

ორსართულიანი კოტეჯების გვერდით ფასადებზე „ქართული აივნებია“ წარმოდგენილი³ (სურ. 14).

ვ. კედია საცხებით იზიარებდა ვახტანგ ბერიძის აზრს, „ეროვნულის ცნება არა მორთულობების მიწებებში ჩანს, არამედ ფუნქციურ და დეკორატიულ კომპონენტთა გააზრებაში. ასეთ ნაწარმოებებში თაღები და ორნამენტები ბუნებრივ და დამაჯერებელ გამოყენებას პოულობდა და ხელს უწყობდა შენობის ინტერიერის სპეციფიკური ხასიათის ამაღლებას“.⁴

სანატორიუმ „მეტალურგზე“ საუბრისას უკვე შევეხეთ ირმებისა და მცენარეული მოტივის რელიგიური ურთიერთკავშირის თემას. ამ კუთხით საინტერესო ნიმუშია სააბაზანო N6-ის საფასადო მორთულობაში ჩასმული გამოსახულებები (სურ. 15). მათგან ერთ-ერთზე წარმოდგენილი იყო შველი ხესთან, ხოლო მეორეზე – შველი და ნუკრი ვაზთან. საინტერესოა თავად ის ფაქტი, რომ ირმისა და შვლის გამოსახულებები ხესთან, რომლებიც შუა საუკუნეების ძეგლების რელიეფურ დეკორში ქართლის გაქრისტიანების სიმბოლოდ გვევლინებოდა, სანატორიუმ „მეტალურგისა“ და სააბაზანო N6-ის საფასადო გაფორმებისას კვლავ ახსენდებათ და იყენებენ იმდროინდელი ოსტატები.

ეროვნულ ტრადიციასთან კავშირზე საუბრისას აუცილებლად უნდა ვახსენოთ სანატორიუმ „იმერეთის“ მაგალითიც. წყალტუბოში არსებული სანატორიუმების ნაწილის მსგავსად, აქაც ვხვდებით ქართული ეთნოგრაფიული ყოფისთვის დამახასიათებელ მხატვრულ-დეკორატიული გაფორმების

ელემენტებს, მათ შორის აღსანიშნავია რიკულებიანი მოაჯირები. ქართული ჩუქურთმის ელემენტებია ჩართული სანატორიუმ „ივერიის“ მორთულობაშიც (ისინი ჩართულია კორინთულკაპიტელებიანი სვეტებისა და ლავგარდანის (კარნიზი) დეკორატიულ საბჯენებში).



სურ. 14. სანატორიუმი „მეტალურგი“, პანსიონატის კოტეჯი. ანზორ ბაბუნაშვილის პირადი არქივი



სურ. 15. სააბაზანო N6-ის საფასადო მორთულობა. ანზორ ბაბუნაშვილის პირადი არქივი

³ თ. ნათიძე. ვალერიან კედია, არქიტექტორი. თბილისი, 2009 წ. გვ. 49.

⁴ თ. ნათიძე. ვალერიან კედია, არქიტექტორი. თბილისი, 2009 წ. გვ. 47.

ეროვნულ ტრადიციასთან კავშირი გამოიკვეთა სააბაზანოების კვლევაშიც. ასე, მაგალითად, სააბაზანო №7 გარკვეულწილად წააგავდა იმერულ ოდას (სურ. 16). სააბაზანო №8 შენობის მხატვრულ-დეკორატიული გაფორმების ელემენტებად გამოყენებული იყო ლადო გუდიაშვილის ესკიზით შექმნილი გრაფიურები.



სურ. 16. სააბაზანო №7.
ანზორ ბაბუნაშვილის პირადი არქივი

დასკვნა

ამრიგად, კვლევისას გამოიკვეთა ის მნიშვნელოვანი ხერხები და პრინციპები, რომლებსაც მიმართავდნენ ტოტალიტარული პერიოდის საქართველოში სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კომპლექსების შექმნისას: ჰარმონიული ურთიერთკავშირი ბუნებასთან, გარე სამყაროსა და რელიეფთან. დაგეგმარებისას ითვალისწინებდნენ იმ კონკრეტული ადგილის, სივრცისთვის სახასიათო ამა თუ იმ მნიშვნელოვან ფაქტორს.

ოთახებისა და დამხმარე, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობის თუ სათავსის განლაგება ლოგიკურ კავშირში უნდა ყოფილიყო მის ფუნქციასთან;

ახორციელებდნენ კონკრეტული შენობის ფასადის კავშირს გარე სამყაროსთან და, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დიდ ყურადღებას აქცევდნენ შენობის ექსტერიერის გადაწყვეტასა და გაფორმებას.

გარე სამყაროსა და შენობას შორის კავშირი მყარდებოდა შემდეგი დამხმარე არქიტექტურული სივრცეებით: ღია გალერეები, აივნები, ტერასები და სხვა, ასევე ღია ან ნახევრად ღია სივრცეების მოწყობით: აერარიუმი, ღია ეზოები და ა.შ.

სამკურნალო-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების აგებისას, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული იყო მისი ფუნქცია და, ამ ფუნქციიდან გამომდინარე, ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების გამოსაყენებლად შესაბამისი სივრცეების მოწყობა.

ზემოჩამოთვლილის გარდა, კლიმატურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, კონკრეტული რეგიონისთვის დამახასიათებელი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის კუთხით, სახასიათო და მნიშვნელოვანი ელემენტები ან სიუჟეტები შეიძლება დაემატებინათ.

სამკურნალო-დასასვენებელ კურორტ წყალტუბოს ტოტალიტარული პერიოდის სანატორიუმებსა და სააბაზანოებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ეროვნულ ტრადიციასთან კავშირი არა მხოლოდ ერთი, არამედ რამდენიმე კუთხით გამოვლინდა. ქართული ეთნოგრაფიული ყოფისთვის დამახასიათებელი დეკორისა და ძველი ქართული სატაძრო არქიტექტურის გაფორმების ელემენტების გამოყენებასთან ერთად, ცალკეულ შემთხვევებში, ძველი ქართული არქიტექტურისთვის სახასიათო ფორმებისა და მასალის გამოყენების მცდელობაც შეინიშნება. მონუ-

მენტური, პომპეზური შენობების კლასიკურ ორდერულ სისტემაში ქართული დედაბოდის სახეების ჩართვა, ინტერიერსა თუ ექსტერიერში ქართული ჩუქურთმისა და შუა საუკუნეების ქართული ტაძრებიდან რელიეფური დეკორის გამოყენება, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტებით ინტერიერის შემკობა თუ შადრევანში ტარიელის ვეფხვსა და ლომთან ორთაბრძოლის სცენის ჩასმა უდავოდ მიუთითებს, რომ ოსტატები ეროვნულობის საკითხის წინ წამოწევას ცდილობდნენ.

ლიტერატურა

1. Shchusev, A. (1940). National Form in Architecture. *Architecture of the USSR*, 12. Moscow: Publishing House of Literature on Construction. (In Russian);
2. Aghababyan, G. (1972). About our tasks. *Architecture of the USSR*, 4(72). Moscow: Publishing house of literature on construction. (In Russian);
3. Stalin, I. (1925). On the Political Tasks of the University of the Peoples of the East. Speech at a meeting of students of the Communist University of the East Workers. *Stalin I. V. Works*. (In Russian);
4. Natidze, T. (2009). Valerian Kedia Architect. (In Georgian).

UDC 725.75

SCOPUS CODE 2216

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-1-183-196>

Artistic-decorative Motifs of the Totalitarian Period Sanatoriums and Baths of the Medical-recreational Resort Tskhaltubo in the Context of National Traditions

Maya Davitaia

Department of Architecture Theory Fundamentals and Fine Arts, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68^a, M. Kostava str.

E-mail: m.davitaia@gtu.ge

Nino Barnabishvili

Department of Architecture Theory Fundamentals and Fine Arts, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68^a, M. Kostava str.

E-mail: nini.barnaba@gmail.com

Reviewers:

N. Imnadze, Academic Doctor, Professor, Faculty of Architecture, Urbanism and Design, GTU

E-mail: n.imnadze@gtu.ge

M. Dzidziguri, Academic Doctor, Professor, Faculty of Architecture, Urbanism and Design, GTU

E-mail: m.dzidziguri@gtu.ge

Abstract. It is very important to study the issue of nationality and to establish the connection between national traditions and totalitarian architecture. The connection of artistic-decorative motifs of the totalitarian period sanatoriums and baths of the medical-recreational resort, in the context of national traditions is discussed. The issue of unity of national traditions, classical and national decor is discussed. Taking into account their subordination approaches, a comparative analysis was made. During the research a lot of literature, albums, photographs kept in private archives and all the documents that would allow us to discuss the artistic-decorative features of the buildings built in the totalitarian period in the medical-recreational resort Tskaltubo in the context of connection with national tradition were found and studied.

Keywords: architecture; context; decor; national motif; sanatorium.

UDC 725.75

SCOPUS CODE 2216

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-1-183-196>

**Художественно-декоративные мотивы санаториев и бань тоталитарного периода
лечебно-оздоровительного курорта Цхалтубо в контексте национальных традиций**

Майя Давитая Департамент теории основ архитектуры и изобразительного искусства,
Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава 68^ა
E-mail: m.davitaia@gtu.ge

Нино Барнабишвили Департамент теории основ архитектуры и изобразительного искусства,
Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава 68^ა
E-mail: nini.barnaba@gmail.com

Рецензенты:

Н. Имнадзе, академический доктор, профессор факультета архитектуры, урбанистики и дизайна ГТУ
E-mail: n.imnadze@gtu.ge

М. Дзидзигури, академический доктор, профессор факультета архитектуры, урбанистики и дизайна ГТУ
E-mail: m.dzidziguri@gtu.ge

Аннотация. Очень важно изучить вопрос национальности и установить связь между национальными традициями и тоталитарной архитектурой. В статье рассматривается связь художественно-декоративных элементов в декоре санаториев и бань лечебно-оздоровительного комплекса Цхалтубо с архитектурой тоталитарного периода. Обсуждается вопрос единства классического и национального декора с национальными традициями. С учетом их подчинения и подходов сделан сравнительный анализ. В процессе исследования было найдено и изучено множество книг, альбомов, фотографий, которые хранятся в частных архивах и все те документы, которые позволили обсудить художественно-декоративные особенности построек тоталитарного периода лечебно-оздоровительного курорта Цхалтубо в контексте с национальной традицией.

Ключевые слова: архитектура; декор; контекст; национальный мотив; санаторий.

განხილვის თარიღი 26.12.2021

შემოსვლის თარიღი 14.01.2022

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.03.2022